



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 0 21 0000855842



03/09/2021

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს
ელექტრონული ფოსტა: mail@ssu.edu.ge

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამა, რომელსაც ყოველი სასწავლო წლისთვის, სამინისტროს წარდგინებით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. 2021 წლის 27 აგვისტოს №435 დადგენილებით განისაზღვრა "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე".

აღნიშნული მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის სტუდენტების: მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მქონე სკოლის კურსდამთავრებულების; ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების; აზერბაიჯანულენოვანი/სომხურენოვანი სკოლის კურსდამთავრებულების; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლადამთავრებულების; ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა და მკვეთრად/მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების ან მათი შვილების; ობოლი (უდედმამო); მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილით); სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი; შეზღუდული შესაძლებლობის; აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების და სოციალურად დაუცველი (ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე) - დაფინანსებას სახელმწიფო სასწავლო გრანტით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, განაცხადები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში 2021 წლის 10 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის 18:00 საათამდე <http://socreg.mes.gov.ge> პორტალზე რეგისტრაციით. ელექტრონული რეგისტრაციის პორტალზე გადასვლა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან (ბანერი - სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში). ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აგვისტოს №435 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების ელექტრონული

რეგისტრაციის, განხილვის წესისა და საჭირო დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანება მიღებისთანავე ატვირთული იქნება სამინისტროს ვებგვერდზე:
<https://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo>

გთხოვთ, უზრუნველყოთ სტუდენტების ინფორმირება ზემოაღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით.

დანართი: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აგვისტოს N435 დადგენილება.

გთხოვთ, არ მისცეთ მსვლელობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 1 სექტემბრის №845678 წერილს.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტის უფროსის
ფუნქციონირება შემსრულებელი
მარუაშვილი ზაზა

